ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№10, 28 ოქტომბერი, ორშაბათი, 2019 წელი

ღვთითნასწავლი მხატვრის საოცარი სამყარო

ქ-ნი **ლალი თავართქილაძე** იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინაც რჩეული ხვედრით დააჯილდოვა განგებამ. ეს ჯილდო სიყვარულია, რომელსაც უშურველად გასცემს და იღებს, ერთდროულად. პროფესიით ფარმაცევტს, მისი ცხოვრების შემოდგომის ჟამს ,,ახალი სუნთქვა" გაეხსნა და, მოზაიკაში გაცხადებული უფლის ხელით, უსულო კედლების უსასრულობას ზღაპრული ფერებით აცოცხლებს.

ოზურგეთში ყველა იცნობს ექსტრავაგანტულობით გამორჩეულ ქალბატონს. ურეკის ცენტრალურ ქუჩაზე უმალ თვალში მოსახვედრია მოზაიკით მოპირკეთებული სახლის ფასადი – უცნაური ნივთებით გაწყობილი, – ეს ლალის აფთიაქია, ადგილი, რომელსაც ვერც უცხოელი ტურისტი და ვერც ჩვენებური ვერ აუვლის გვერდს, რადგან აქ, მედიკამენტებისა და პროფესიონალი ფარმაცევტის კონსულტაციის გარდა, სულის პანაცეასაც იღებენ ადამიანები. პანაცეა უფასოა, მხოლოდ შთაბეჭდილებების ჩაწერის გარეშე ვერ დატოვებ იქაურობას. ბლოკნოტი კი ბევრია სააფთიაქო დახლზე – ლალის მოზაიკასავით ნაირფერი, არაერთი ცნობილი თუ უცნობი პიროვნების, ქართველი თუ უცხოელი დამსვენებლის (განურჩევლად სქესისა და ასაკის) გასაოცარი შთაბეჭდილებებით, მიძღვნებითა და მადლიერებით სავსე. თავად ლალის ჩანაწერები ცალკე თემაა, ცხოვრების მატიანეა, მათში ჩანიშნული ყოველი წუთი კი ალიონის ბინდ-ბუნდის სიხალისეს, ზღვაზე მონანავე, ვნებადამცხრალი მზის დისკოს ელვარებსა და ღამის მწუხრში გაყურსული სამყაროს სიმშვიდეს საოცარი ექსპრესიულობით შეგაგრძნობინებს.

სოფელ ოზურგეთში ლალის კარ-მიდამოს პირველი სართული მისი ჯადო ხელებით ამეტყველებულ, გიზო ნიშნიანიძის სახელობის ლიტერატურულ დარბაზს აქვს დათმობილი. ორი წლის წინ, წმ. ნინოს სახელობის ურბნისის დედათა მონასტრის სატრაპეზო და სამწევრისის გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის დედათა მონასტრის 10 მეტრის გუმბათოვანი სასანთლე დაამშვენა მოზაიკით. სიტყვა ,,თვითნასწავლი" მისთვის არაფერს ნიშნავს, რადგან ღვთის ნების გარეშე ვერაფერი წარმოუდგენია. საკუთარ ნიჭსაც ,,ღვთითნასწავლს" უწოდებს და, ამ მადლით გულამომჯდარი, ბავშვივით, გულწრფელი ცრემლებით მადლობას უძღვნის უფალს.

ახლახან, არგენტინელი მხატვარი Magali Ortega დაინტერესდა მისი შემოქმედებით და საერთაშორისო პროექტში **„ჯანსაღი კვება ბავშვებს"** მონაწილეობა შესთავაზა, რომელშიც უკვე 60-მდე ქვეყანაა ჩართული და რომლის მთავარი დევიზი პროექტში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბავშვების მონაწილეობას გულისხმობს.

ამ და, კიდევ ბევრ, საინტერესო თემაზე ვისაუბრეთ მე და ქალბატონმა ლალიმ ურეკის ნოტიო სექტემბრის სისხამ დილით, რომელსაც, ამჯერად, სიამოვნებით ვუზიარებ ჩვენს მკითხველს.

გადაბრუნებული ურემი და გზა დიდებისკენ

მამა – გიორგი (ჟორა) თავართქილაძე გამორჩეული პიროვნება იყო ერუდიციით, პროფესიონალიზმითა და ნიჭიერებით. თუმცა, ცხოვრების ეკლიანმა გზამ ნაიარევი დიდხანს დაუტოვა. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სვერდლოვსკში სამუშაოდ განაწილებული რეპრესირებულის შთამომავალი (მამის მამა 1937 წელს დააპატიმრეს და ლათინური ენის ცოდნის გამო დახვრიტეს. ბათუმში აღმოჩენილ დახვრეტილთა ძვლებს შორის, ქ-ნ ლალის ბაბუის ძვლებიც იქნა ნაპოვნი... რიგით მე-4 ყოფილა!) დედასთან ერთად, საქართველოში, როგორც იტყვიან, ცარიელ-ტარიელი გამოაძევეს და ბინაც ჩამოართვეს. უსახსროდ და ჭერის გარეშე დარჩენილი შერისხული ოჯახისთვის დახმარების ხელის გაწვდენა ვერავინ გაბედა, კედლებსაც რომ ყურები ჰქონდათ, იმ ეპოქაში. მხოლოდ ერთმა ნაცნობმა ათხოვა ურემი მცირე ბარგის მდინარეზე გადასატანად. მდინარე ბახვისწყალზე ურემი გადატრიალდა და რაც ებადათ, ისიც წყალმა წაიღო. თითქოს სიმბოლურიც იყო განგებისგან ძველ ხალხურ სიბრძნეში გაცხადებული ჭეშმარიტების მინიშნება: ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. წყალმა, თითქოს უბედურებაც თან წარიტანა, გადაბრუნებულ ურემს კი გზის გამოჩენა მოჰყვა. დედასთან ერთად, ჯვალოაკრულ ნალიას შეფარებულმა ჟორა თავართქილაძემ პირობა მისცა საკუთარ თავს და ბედისწერას, რომ წარმატებული გახდებოდა... დროთა განმავლობაში მამის რეაბილიტაციაც მოიპოვა და, მუხლჩაუხრელი შრომისა და ნიჭის წყალობით, ცხოვრების გზას ეკლები მოაშორა. წარმატებული ექიმი სულით ხელოვანი – მხატვარიც იყო, საკუთარი კერამიკის საამქრო ჰქონდა და, ჯერაც წითელი ბელადების ეპოქაში, უცხოეთის ქვეყნებში, ,,საბჭოეთიდან" წარგზავნილი დელეგაციების უცვლელი წევრი გახლდათ.

„წლების შემდეგ დაბრუნებული ვალი"

ქ-ნ ლალიც მამის კვალს გაჰყვა. სამედიცინო ინსტიტუტის წითელ დიპლომზე დამთავრებულს კათედრაზე ტოვებდნენ. არ დარჩა – მშობლიურ კუთხეს უნდა ვემსახუროო. რექტორმა ჩაიროხროხა, თურმე: გოგონა, თქვენ ნიჭიერი კი ხართ, მარა სულელიც ყოფილხართო!

რამდენიმე წლის წინ, სახლის უკანა კედელზე შესრულებული პირველი მოზაიკური ნამუშევარი მამის ხსოვნას მიუძღვნა და, წლების შემდეგ, ამით, თითქოს ვალი დაუბრუნა მოზაიკოსს, მხატვარსა და ექიმ მამას.

ყოველ დილით, უთენია, ზღვის ნაპირზე გადის, მოზაიკისთვის სათითაოდ აგროვებს ნიჟარებს და, საღებავებით აფერადებულ ფანტაზიასაც დასასრული არ აქვს. ლურჯი ფერი დასჭირდა, მაგრამ რომ უნდოდა, ისეთი ლურჯი საღებავი ვერსად ნახა. და, ერთ დილას, ნამძინარევმა ზღვამ ძველისძველი, ჩაჟანგებული თუნუქის ქილა გამორიყა. შინ მისულმა, სასწრაფოდ გახსნა და, მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა – ზღვამ სწორედ ის ფერი აჩუქა, მამის ხსოვნისადმი მიძღვნილი სათქმელი რომ ითხოვდა...

„ჩვენ კი არა, უფალმა შეგიშვა თავის სახლში...“

ხატვა არ ეხერხება, ამიტომაც ცარიელ კედელთან როდესაც დგება, წინასწარ არასდროს იცის, რას გააკეთებს, მხოლოდ ღვთის ნაკარნახევს ასრულებს. ,,ასე მგონია, ღვთის ხელი მკიდებს ხელს, მე მხოლოდ შემსრულებელი ვარ!“ – ამბობს ქ-ნ ლალი.

არც მაშინ იცოდა, რის შთაგონება ეწვეოდა, როდესაც ურბნისის დედათა მონასტრის კარი გაუღეს და უთხრეს – რაც გინდა, აკეთეო. იქ, სადაც, მცხეთაში გამგზავრებამდე, წმინდა ნინოს ერთი თვით დაუსვენია. საუკუნეების შემდეგ კი, რუის-ურბნისის კრება შეცვლის საქართველოსა და მის საჭეთმპყრობელთა ბედს... მაშინაც არ იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა, როდესაც სამწევრისის დედათა მონასტერში მიიწვიეს, მკურნალისა და მხედართმთავრის – ზაზა ფანასკერტელის ციხე-სიმაგრეში, სადაც უწინ, ლაზარეთი არსებობდა. თავად კი, ამ ყველაფრით მადლცხებულსა და მისადმი ნდობით გაოცებულს, მეუფე იობი ღიმილით უპასუხებს:

,,ჩვენ კი არა, უფალმა შეგიშვა თავის სახლში და სწორედ მან იცის, იქ რაც უნდა გააკეთო...“

ლალი თავართქილაძის მიერ მოპირკეთებული, ურეკის ცნობილი სანატორიუმის **„კოლხიდას“** 200 მეტრამდე სიგრძის კედელი დამსვენებლის ინტერესს არ კარგავს, ამიტომაც, სანატორიუმის პიარ-მენეჯერობაც უყოყმანოდ მიანდეს ნიჭიერ ქალბატონს.

დეკანოზი პოეტის თამაზ ჩოხელის ცნობილი ხუთი იავნანა, რომელზედაც აჟღერებულ სიმღერებს დათო არჩვაძე და თამარ ჭოხონელიძე ასრულებენ, ორი საგალობელი კი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით სრულდება, ქ-ნი ლალის მოზაიკური პანოს შთაგონებად იქცა, რომლის ხორცშესხმასაც უახლოეს მომავალში გვპირდება.

საერთაშორისო პროექტი „ჯანსაღი კვება ბავშვებს“

„ამ პროექტში მონაწილეობა დიდი რეკლამაა ამა თუ იმ ქვეყნისა და ქალაქისთვის, განსაკუთრებით, ჩვენი პატარა საქართველოსთვის. ოზურგეთში უკვე დავიწყე პანოზე მუშაობა და პირველი მოსწავლე – ლალი კიკვაძე შემომიერთდა. მსოფლიოს ქვეყნებს შორის, ჩემი კუთხეც რომ გაიჟღერებს, ჩემთვის ბედნიერებაა. გრაფიკი უკვე გაწერილი მაქვს, თუმცა, სიამოვნებით ვიმუშავებ საქართველოს სხვა ქალაქებშიც, ადგილობრივი ბავშვების ჩართვით, რომლებსაც მოზაიკის საიდუმლოებასაც ვაზიარებ, თუ ამის მზაობა იქნება. მთავარია, ყველამ გავითავისოთ ამ პროექტში ჩართულობის უდიდესი მნიშვნელობა. ვადა 20 აპრილამდეა. ბოლოს, ერთი დიდი მსოფლიო კონკურსი იქნება, რომელშიც მონაწილეობაც კი, უკვე გამარჯვებას ნიშნავს. ჩემს „facebook“ გვერდზე – Lali Tavartqiladze S Art ყველა ინფორმაცია და მოვლენა დევს დეტალურად ამ პროექტის შესახებ. ჩვენ მსოფლიო მოგვადევნებს თვალს...

სამყარო გაცივდა და ერთმანეთის შესაფასებლად მხოლოდ აუგი გვემეტება, იშვიათი ნიჭია მოეფერო და შეიყვარო ადამიანი ამ ცივ და უკარება სამყაროში. „მიყვარხარ“ – ჩემი ცხოვრების კრედოა. რაც შეიძლება, მეტი სიკეთე უნდა ვაკეთოთ, სიყვარული უნდა ვამრავლოთ. გაბრწყინებულ საქართველოს ვხედავ, მაგრამ სუფრას უნდა მოვშორდეთ, დღე ადრე უნდა დავიწყოთ და გვიან დავასრულოთ, რომ ბევრის გაკეთება მოვასწროთ...“

„ლიტერატურული ხაშური“ ულოცავს დაბადების დღეს ქ-ნ ლალი თავართქილაძეს.

წარმატება და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ, საოცარო ქალბატონო.

ესაუბრა **ეკა ბაქრაძე**

ახალი წიგნი

მარინა ღონღაძე

„მე შენ გიპოვე“ – მარინა ღონღაძის კიდევ ერთი პოეტური კრებული გამოვიდა სამზეოზე, მისი ფაქიზი სულის ანაბეჭდებით გაჯერებული. ავტორი, ლექსების მსგავსად, მოკრძალებით, გულწრფელობითა და უბრალოებით გხიბლავს და ამაღლებულ განცდებზე გაფიქრებს.

ლექსი-ემოცია – ასე შეიძლება უწოდო მის ყოველ სტრიქონს, საიდანაც იმერეთის საუცხოო სურნელი იფრქვევა და გრძნობ, სიყვარულის უზარმაზარ კალათში, იმ კუთხის შვილთათვის დამახასიათებელი ჩვეული სისხარტით, როგორ აწყობს სულის ნობათს, ჩვენთვის მოსართმევს...

,,მე შენ გიპოვე!" – ავტორი გაოცებითა და აღტაცებით მიმართავს უფალს, რომელიც ტაძარში მდგომმა, საკუთარ გულში სიყვარულად გაბატონებული ჰპოვა.

მისი ფაქიზი სული ვერ ეგუება მეწვრილმანე, უსამშობლო, ნიღაბმორგებულ სახეებს. მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანური ფასეულობებია.

ზოგჯერ, ავტორის ბავშვური, მიამიტური ემოცია გაფიქრებინებს, რომ ეს სიფრიფანა სული სულაც არ ჰგავს ცხოვრების ქარ-ცეცხლში გამობრძმედილი ქალის ბუნებას. ბავშვობიდან მოსდევს მამის სიტყვებიც:

„გული ადამიანის პატარა საიდუმლო ოთახია, სადაც ყველაფერია, რაც კი გჭირდება!“

ჰოდა, ეს წიგნიც მარინა ღონღაძის გულია – ბუნებრივი, წრფელი, მღელვარე და გასაფრთხილებელი, სამშობლოს ბედ-იღბალსა და მოყვასზე ტკივილიანი სიყვარულით ამღერებული...

კლარა გელაშვილი

გამათბე, მზეო...

გამათბე, მზეო,
სიცივისგან სულიც გაცივდა,
გული ვერ უძლებს ამ სიმკაცრეს,
კვნესის, კანკალებს,
ზარის ხმა მიხმობს ნათლისმცემლის
წმინდა ტაძრიდან,
გუმბათის თავზე უცხო ძალა
ტოვებს ნაკვალევს!
აღვირახსნილთა თარეშს ვუცქერ
ჩემი სარკმლიდან,
თანაც, სიჩუმის და სინდისის
ქენჯნა მაწვალებს,
მომეცი ძალა, მოვიშორო
უტყვი დუმილი,
გულანთებული შევუერთდე
მართალთა გვამებს.
გამათბე, მზეო, გევედრები,
სული გამითბე,
თუ ამ მიწაზე ცოდვილი ვარ, –
ზეცა დამითმე.

მინდა გავექცე

მინდა გავექცე უგულობას,
უმადურობას, უსულობას
მინდა გავექცე!
გაუტანლობას, ქედმაღლობას,
უგნურებას, შურს და ბოღმას
მინდა, გავექცე!
რომ ვერ ვხედავდე უზნეობას,
ურწმუნოებას, უვიცობას
მინდა, გავექცე!
მაგრამ სად, ღმერთო?!.
მომეშველე, რომ არ დავეცე...

გალაკტიონი

I

ჩაბნელებული ოთახი, მწირი,
ჩამოშვებული მზის მუქი ფარდა,
გალაკტიონი სიბნელეს ებრძვის
და თაფლის სანთელს უმაგრებს შანდალს.
მარტოობის ცრემლს ვინ მიუხვდება,
სიცივე ძვლებში ამტვრევს ბოლომდე,
ხელის ცახცახით წერილს წერს: ,,იქნებ,
გამომიწეროთ პალტო, როგორმე“...
მთლად გაუძარცვავთ ქუჩაში რეგვენთ,
წაურთმევიათ ფეხსაცმელები,
ჩირად არ უღირთ უვიცებს მისი
ოქროდ ნაქარგი ჩანაწერები...
უცნაური ხმით დაიწყებს მოთქმას:
– დაუხუჭესო, ნეტავი, თვალი?..
როგორ გავძლოო, ახლა ფხიზელმა?
თავიც მომბეზრდა ყოველდღე მთვრალი!..
ოჰ, ღმერთო, რისთვის?! ,,მას გახელილი,
ჰო, გახელილი დარჩა თვალები!“
იქ, სიშორეში... ო, ჩემო ოლოლ,
სული მეწურვის და მებრალები!
გარეთ ისევ წვიმს, ღრიალებს ქარი,
მე მიყვარს წვიმა და მიყვარს ქარი...
მიყვარდა ისიც... და აღარ არის!..
შორიდან სევდით ღიღინებს მტკვარი...
დროდადრო, ჩუმად უთვალთვალებენ,
რეჟიმი ებრძვის ცოცხალ გენიას,
აზრის ჩახშობა, ღირსების აყრა,
სიკვდილი! – ნუთუ ეს დარჩენია?!
არარად უღირს პოეტს სიცოცხლე,
კვლავ სანაპირო უხმობს, დარდიანს,
რას გაიგონებს კაცი უარესს?!
ეჰ, ,,კუხარკების“ პოეტს ადრიან!..
უნდობლობა და ათასი ჭორი,
არც თანამდგომი, არც გულისწორი...
და, ქუჩის ბოლოს, ხის ძირში მწოლი,
ათენებს ღამეს გალაკტიონი...

II

,,ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის“...
საავადმყოფო როდი შველის სულს, დამძიმებულს!
აქაც, საწოლიც ვერ მონახეს, ზურგი აქციეს,
დერეფნის კუთხე მიუჩინეს, შეშლილად ქცეულს.
თავად მწერლებმაც არ დაინდეს, სახე არიდეს,
უსიტყვობისგან მეფე პოეტს უკვდება გული,
სიკვდილის ლანდი აედევნა, ნაზად ხვევს ხელებს,
ვარდისფერ გზაზე შედგომა ხომ არ არის რთული?
ნაბიჯი მძიმე, ტვირთი მძიმე, სარკმელი ღია,
სული ნაპირებს ეხეთქება, გაფრენას ლამობს,
გრგვინვა-გრიალით, სადღაც ლურჯა ცხენები ქრიან...
სხეულს ტოვებს და დედამიწას დუელით ამხობს!..

კოჰაბიტაცია

შეიძლება ცხვართან მგელის დაბმა?!
იცხოვრებენ ისე, როგორც და-ძმა?
დამყარდება ეს კოჰაბიტაცია? –
თუ, ეს, ,,ამის", ის ,,იმისი“ კაცია?!
რა იქნება, ნაცვლად უცხო სიტყვისა,
ქართულად ვთქვათ: ,,აი, თანაცხოვრება,“
გულში გვქონდეს სიყვარული ქვეყნისა,
მოგვეცემა ამით სულის ცხონება.
ყველა კაცი თუკი ასე იფიქრებს, –
,,სამშობლოა უპირველეს ყოვლისა,“
შინაარსი მხოლოდ მაშინ იქნება
ცხვრის და მგელის ერთ მინდორზე ძოვისა!

ლექსები

მანანა ხოიაძე

* * *

როცა სურვილი
აზღვევს ნაპირებს,
მაშინ მწყურია,
რას ქვია მერე!
სამზერს გადასცდა
შენი სახება,
ღამეული და
ვნების დამჯერე...
და, მე, უსასომ, წამიერება
ვერ ვიმზევე და
ვერ შევაჩერე...
ზღვარს შეუგრძნობი
ჩვენი სულები,
ფარვანებივით,
ნაღველში ფრენენ.

რობაიები

კაცთა სიხარბეს აღარა აქვს დასასრულია,
სულსწრაფად ხვეჭენ, არ ედებათ თვალზე რულია,
ვიღას ანაღვლებს ბრძენთა-ბრძენის ნაანდერძევი:
,,არსობის წიგნში პირველ მარცვლად სიყვარულია.“

* * *

სულწასულობა უმწიფართა გულის ძგერაა,
დაიგვიანებ? სარგებელიც სხვისი წერაა!
და თუ საწურთოს შესაფერი ვერ შეურჩიე,–
მცირე შეცდომაც უზოგველი ბედისწერაა.

ტრიოლეტი

ჩემი დღეები ფერგაცლილი ზამბახებია,
ფურცელ და ფურცელ მინაკუწებს კორიანტელი,
შენ რომ გგონია ნებიერი სვეთა ფანტელი, –
ჩემი დღეები ფერგაცლილი ზამბახებია.
მე, შენი გზნება ეულს, შლეგად ამმბოხებია
სულში ვით გითმო სავანები იმდენ-ამდენი?..
ჩემი დღეები ფერგაცლილი ზამბახებია,
ფურცელ და ფურცელ მინაკუწებს კორიანტელი.

* * *

მე წავალ, ვითომ არ ვარ ცალი და
როგორც კონკია, მეჯლისს მიველი,
მე წავალ, როგორც ამორძალი და
როგორც იმედის ლურჯი ფრინველი.
მე წავალ, ფრთებით განაზებული,
უმწეო, როგორც ღამის ფარვანა,
მე წავალ, სულით გალაღებული,
როგორც სხეულის მჩატე ნირვანა.
მე წავალ მდარე წუთისოფლიდან,
ვით უფლისწული ცას მიდიოდეს,
როგორც დუელში ცხელი ოფლი და
სისხლი ღვარივით გადადიოდეს.
წუთისოფელში დამრჩება მქისედ
ბევრი ხარბი და ბევრი მოდავე,
არას გამადლით, მე წავალ ისე,
როგორც წასულა ყველა მოკვდავი.

გვიანი ელეგია

მთვარის ნამიან და ბეც კივილზე,
მკერდს იკაწრავენ მიდამოები...
და ზესთა ლტოლვას მზერას უკენკავს
ჟამი, საცნობი ამაოების.
ასე მგონია, ჩემი არსება
ღვთის ნებით კი არ დაბადებულა,
რომ შეუცნობელ სამყაროს სული
აქ, უნებურად, დავანებულა.
და, მკრთალეული, კვალს ვეცეცები,
სადაც პირქუში სუფევს წყვდიადი,
უღრანი ყოფის აბდაუბდაში
გზააბნეული ავბორიალდი.
და ვით ბზარიან, მრუდე სარკეში,
ანარეკლები ტრიალდებიან,
მადლის ლანდები, წაღმა ნაკვეთი,
ცხადში პირუკუ რიალდებიან.
ვგრძნობ, გაოგნებულს, როგორ და რითი
ავად მევსება ხელის გულები
და, შეუცნობელ სამყაროს მკვიდრნი,
ნიშნის მოგებით თრთიან სულები.
და მეჩვენება, ცით მოკვეთილი,
მიწის ლაბირინთს როცა ვშორდები,
თვითდარბეული, ნაალაფარი
გრძნეულთ სამყაროს ვემშვიდობები.

* * *

თითქოს მნათობნიც შემომღიმოდნენ –
ბედნიერების ზღვას მოჰგავხარო,
არა და, მაინც, ვინ გაგვიმიჯნა
ჩემი სამყარო, შენი სამყარო?..
ალბათ, ღმერთები თუ ოხუნჯობდნენ –
სიყვარულის და სევდის მომმადლი,
ჩვენც ისე ავცდით ერთიმეორეს,
როგორც ორბიტას – მისი ხომალდი.
და მტკივა, როგორ ანაზდეულად
შემოგვეფეთა გზაგასაყარი,
რომ დედამიწამ ვერ მოგვიძებნა
ორი სამყაროს თავშესაფარი.

ჩემს ზოდიაქოს

მობურულ ცაზე ქადილით ელავს,
ზესთა ზის ფიცით დანაბარები
და ნაქარიშხლარ ახოვან მხრებზე,
აბჯრებს ირგებენ ცხენ-ფაფარები.
და მოკუშტებულ კაბადონებზე
ფლოქვთა გრიალი ქუხს დაუნჯებით,
ფარულ განზრახვას დახარბებულნი,
ფრთებს გამართავენ ისართ ბღუჯები.
და მოთქარუნე კენტავრთა რემა
ღრუბელს გაჰკვეთავს, როგორც ბრმა ტყვია
და მშვილდოსნების ნაიარევი
ნაომარ ზეცას ელდად ატყვია.

რედაქტორი ეკა ბაქრაძე